ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება #226/01-01 03.11.2017

დანართი №1

2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2018/2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში სასწავლო სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2018/2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც ა/წ 3 და 9 ოქტომბერს გაიარეს ინსტიტუციური ენის ტესტი და განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსებზე (ზოგადი კონკურსები, კადისის უნივერსიტეტის კონკურსი). სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი მასპინძელი უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა

ა)კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. მოტივაცია
2. ზეპირი პრეზენტაცია
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

ბ)კანდიდატთა შერჩევის მიზნით ჩატარებული უცხო ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდის შედეგები შერჩევისას არ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატთა საბოლოო საკონკურსო შეფასება თანაბარია.

4. კომისიის შეფასება

ა)კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ)კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა

საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.